სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სოფ. აბისის კომპლექსის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე 2012 წლის 1 თებერვალს გამოცხადებულ კონკურსზე (საკონკურსო განცხადების #273) წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების

რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა

#	კონკურსანტის დასახელება	დოკუმენტაციის წარდგენის თარიღი და დრო	ხელმოწერა
1	შპს „ახალი ტექნოლოგიები – ეკო“	29.02.2012 17:10	
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			

საკონკურსო აპარატის წევრი
გ.გოგაძე

27-29 თებერვალი **2012** წელი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 29 თებერვალი, 2012 წელი

საკონკურსო კომისიის და მისი აპარატის წევრები ვადასტურებთ, რომ სოფ. აბისის (ქარელის მუნიციპალიტეტი) კომპლექსის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით 2012 წლის 1 თებერვალს გამოცხადებულ N273 კონკურსზე, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

კომისიის თავმჯდომარე	/ნიკოლოზ ვაჩეიშვილი/
კომისიის წევრი	/პაატა გაფრინდაშვილი/
კომისიის წევრი	/ნიკოლოზ ანთიძე/
კომისიის წევრი	/გიორგი ნაკაშიძე/
კომისიის წევრი	/გიგლა ჭანუყვაძე/
კომისიის წევრი	/ნინო ნოზაძე/
კომისიის წევრი	/გიორგი მისრიაშვილი/
კომისიის აპარატის წევრი	/გუგა გოგაძე/

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"

სოფ. აბისის (ქარელის მუნიციპალიტეტი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსის

საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #2

ქ. თბილისი 13.03.2012 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე - გენერალური დირექტორი;
პაატა გაფრინდაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის მთ.მენეჯერი;
ნიკოლოზ ანთიძე - საკონკურსო კომისიის წევრი - იურიდიული სამსახურის მენეჯერი;
გიორგი ნაკაშიძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ადმინისტრაციული სამსახურის მთ.მენეჯერი;
გიგლა ჭანუყვაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის მთ.კოორდინატორი;
ნინო ნოზაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფ.კოორდინატორი;
გიორგი მისრიაშვილი- საკონკურსო კომისიის წევრი - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფ.კოორდინატორი;
გუგა გოგაძე - საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი - ადმინისტრაციული სამსახურის მთ.კოორდინატორი.

სხდომას არ ესწრებოდა
ქრისტინე დარჩია - საკონკურსო კომისიის წევრი - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის მთ.კოორდინატორი - შვებულების გამო.

დღის წესრიგი:

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სოფ. აბისის (ქარელის მუნიციპალიტეტი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2012 წლის 1 თებერვალს გამოცხადებული N273 კონკურსის შედეგების განხილვა

კომისიამ მოისმინა:

სოფ. აბისის (ქარელის მუნიციპალიტეტი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის შედეგების განხილვა

აღინიშნა, რომ საკონკურსო წინადადების მიღების დასრულებამდე ერთი კონკურსანტის მიერ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება:

- შპს „არქიტექტურა კონსტრუქციები - აკო".

კომისიამ განიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტაცია შედგება მხოლოდ ფოტოსურათებისგან, ეკლესიის აღწერისაგან და პროექტის შედგენის ხარჯთაღრიცხვისგან. ამდენად, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს კონკურსის მოთხოვნებს. არ არის წარმოდგენილი ძეგლზე

მუშაობის მეთოდოლოგია, არქეოლოგის, კონსტრუქტორის თუ გეოლოგის შეფასებები. არ არის ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების თანმიმდევრობა და სავარაუდო ფასი, ასევე კონკურსანტს არ წარმოუდგენია საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

საკონკურსო კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს. კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი მომხრეა უარყოფითად შეფასდეს წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

კომისიამ დაადგინა:

1. შპს „არქიტექტურა კონსტრუქციები - აკო"-ს მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

2. სოფ. აბისის (ქარელის მუნიციპალიტეტი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსი ჩაითვალოს დასრულებულად უარყოფითი შედეგით;

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით რათა კონკურსს მიენიჭოს სტატუსი - კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით;

4. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს შპს „არქიტექტურა კონსტრუქციები - აკო"-ს.

კომისიის თავმჯდომარე	/ნიკოლოზ ვაჩეიშვილი/
კომისიის წევრი	/პაატა გაფრინდაშვილი/
კომისიის წევრი	/ნიკოლოზ ანთიძე/
კომისიის წევრი	/გიორგი ნაკაშიძე/
კომისიის წევრი	/გიგლა ჭანუყვაძე/
კომისიის წევრი	/ნინო ნოზაძე/
კომისიის წევრი	/გიორგი მისრიაშვილი/
კომისიის აპარატის წევრი	/გუგა გოგაძე/

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ 10/08/2/248 „13" 03 2012წ.

შპს „არქიტექტურა, კონსტრუქციები-აკო"-ს დირექტორს
თეიმურაზ ჯაფარიძეს

მის: ქ.თბილისი, ს. ჩიქონანის ქ. N20 ბ. 4

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ სოფ. აბისის (ქარელის მუნიციპალიტეტი) კომპლექსის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით 2012 წლის 1 თებერვალს გამოცხადებული N273 კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

პატივისცემით,

სააგენტოს
გენერალური დირექტორი,
კომისიის თავმჯდომარე

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

0105. ქ.თბილისი. თაბუკაშვილის ქ. №5, ტელ. (+995 32) 93 24 11, 93 23 94
5 Tabukashvili str. Tbilisi 0105. Tel.(+995 32) 93 24 11, 93 23 94

საგადახდო დავალება
Payment Order

N 2

თარიღი/Date 29/02/2012

გადამხდელი/Payer შპს 'არქიტექტურა კონსტრუქციები - აკო', 205040356

გადამხდელის ანგარიში/Payer's Account GE47VT6600000005903605

გადამხდელის ბანკი/Payer's Bank ქ.თბილისი, სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"

ბანკის კოდი/Bank Code UGEBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information about the person on behalf of which the payment is carried out

დასახელება/Denomination შპს 'არქიტექტურა კონსტრუქციები - აკო'

საიდენტიფიკაციო კოდი/Identification Code 205040356

მიმღები/Receiver სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ს/კ 204428510

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი
Breneficiary's Account/Treasury Code GE52BR0000010591718543

მიმღების ბანკი/ხაზინა
Beneficiary's Bank/Treasury ქ.თბილისი, სს ბანკი "რესპუბლიკა"

ბანკის კოდი/Bank Code REPLGE22

გადახდის დანი
Payment Purpose საკონკურსო განცხადების საფასური

დამატებითი ინფორმაცია/Additional Information

ხელმოწერები/Signatures

ბ.ა./Place for Seal

თანხა
Amount

50.00 / GEL

თანხა სიტყვიერად/Amount in words

ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი
Fifty Lari 00 Tetri

ბანკის აღნიშვნები
Bank Signs

ბანკში შემოსვლის თარიღი/Delivery Date into the Bank

01/03/2012

გატარების თარიღი/Transaction Date

01/03/2012

ხელმოწერა/Signature

შტამპის ადგილი
Place for Stamp

119938219

29/02/2012-5:10:19 PM

№ 1-847
01.03.2012

ა.წ 1 მარტს ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"–დან გადმორიცხული იქნა შპს „არქიტექტურა კონსტრუქციები აკო"–ს მიერ 50 (ორმოცდაათი)ლარი დანიშნულებით საკონკურსო განცხადების საფასური, რომელიც განკუთვნილი იყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონკურსის N 273-სთვის.

პატივისცემით

საბურთალოს ფილიალის მართველი

კახაბერ კოდუა

ს/ს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
საბურთალოს ფილიალი

საქართველო 0160
თბილისი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 21

ტელეფონი:
+(995) 32 2 24-24-24
+(995) 32 2 505-505

SWIFT: UGEBGE22670
E-mail: info@vtb.com.ge

ა ბ ი ს ი

ციხე – დარბაზი

წინასაპროექტო საკონკურსო წინადადება

შ.პ.ს. "არქიტექტურა,კონსტრუქციები – აკო"

დირექტორი:	თეიმურაზ ჯაფარიძე
იურიდიული მისამართი:	ქ.თბილისი ს.ჩიქოვანის ქ.№20 ბ.4
ფაქტიური მისამართი:	ქ.თბილისი ს.ჩიქოვანის ქ.№20 ბ.4
საიდენტიფიკაციო კოდი:	205 040 356
ტელეფონი:	599 55 06 11
ელექტრონული მისამართი:	temojaparidze@gmail.com

CeS2 ვი-თი-ბი ბანკი ჯეორჯია (ისნის ს/ც) მფო: 220101615

ანგარიშსწორების ანგარიში: № GE47VT6600000005903605

საკონკურსო წინადადების ფასი: 10 000 ლ.

საკონკურსო წინადადების ვადა: 29.02.12 – 01.04.12

ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა 1% - 100ლ.

პროექტში მონაწილე პირები:

1. გ. ჯაფარიძე. ———————— არქ. რესტავრატორი.
2. თ. გაბუნია ———————— არქ. რესტავრატორი.
3. მ. მექვაბიშვილი ———————— კონსტრუქტორი.
4. მ. ბაბილოძე ———————— გეოლოგი
5. დ. ბერიკაშვილი ———————— არქეოლოგი
6. გ. ჭანიშვილი ———————— ხელოვნებათმცოდნე/

შ.პ.ს. "არქიტექტურა,კონსტრუქციები – აკო"

1. მრავალფუნქციური შენობა დიდ დიღომში.

2. საცხოვრებელი შენობა ბაგებში

3. საოფისე შენობა ტოვსტონოგოვის ქუჩაზე

4. საცხოვრებელი შენობა წინამძღვრიშვილის ქუჩაზე

5. კავკასიის განვითარების ბანკის საოფისე შენობა გულიას მოედანზე

6. მრავალფუნქციური შენობა ქ.წამებულის გამზირზე

7. საოფისე შენობა ლესელიძის ქუჩაზე

8. კულტურული ცენტრი ძველი თბილისი იალტაში

9. საოფისე შენობა

10. ვილა საგურამოში

11. იახტკლუბი თბილისის ზღვაზე

12. მრავალფუნქციური შენობა კრწანისში

13. კოტეჯი საგურამოში

14. კოტეჯები ბაკურიანში

15. მრავალფუნქციური კომპლექსი მეცნიერებათა აკადემიის ტერიტორიაზე

16. მრავალფუნქციური კომპლექსი ქავთარაძის ქუჩაზე

17. სავაჭრო ცენტრი

18. საცხოვრებელი სახლი ფიზკულტურის ქუჩაზე

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამოცანის შინაარსიდან და სირთულიდან გამომდინარე ფირმა ხელშეკრულებით იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებს.

შ.პ.ს. "არქიტექტურა,კონსტრუქციები – აკო" –ს დირექტორი: თ.ჯაფარიძე

სახელი გვარი:	გელა ჯაფარიძე
პროფესია:	არქიტექტორი, ქალაქმგეგმარებელი
დაბადების თარიღი:	1927 წელი, 13 ივნისი
ძირითადი კვალიფიკაცია:	მუშაობის სტაჟი 54 წელი

1953-1955 წ.წ.	საქსახკვების სამინისტროს საპროექტო, არქიტექტორი;
1955-1963 წ.წ.	სპეცსამეცნიერო სარესტავრაციო სახელოსნოები, არქიტექტორ-რესტავრატორი;
1963-1970 წ.წ.	საპროექტო ინსტიტუტი „თბილქალაქპროექტი", პროექტის მთავარი არქიტექტორი;
1970-1975 წ.წ.	სპეცსამეცნიერო სარესტავრაციო სახელოსნოები, საპროექტო განყოფილების ხელმძღვანელი;
1975-1982 წ.წ.	„თბილქალაქპროექტი" ქ.თბილისის ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქციის სპეციალური საპროექტო სახელოსნოს უფროსი;
1982 წ.-ან დღემდე	ქ.თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის დოცენტი.

განათლება: უმაღლესი	1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია არქიტექტურის სპეციალობით;

სამუშაო გამოცდილება:

- ტრესტ „ლუდი და ლიმონათი"-ს საცხოვრებელი სახლი;
- ბზიფის არქიტექტურული კომპლექსი;
- სურამის ციხე;
- რკონის არქიტექტურული კომპლექსი;
- ალავერდის არქიტექტურული კომპლექსი;
- არქიტექტურული კომპლექსი ივერიის მთაზე;
- უჯარმის არქიტექტურული კომპლექსი;
- ნარიყალას ციხე თბილისში;
- ბიჭვინთის ტაძარი;
- გონიოს ციხე;
- მატანის ციხე;
- კაზრეთის არქიტექტურული კომპლექსი;
- თემქის II მიკრორაიონის განაშენიანება ქ.თბილისში;
- მტკვრის სანაპიროს განაშენიანება დიდუბის რაიონში;
- არქიტექტორების სახლი ქ.თბილისში;
- დავით აღმაშენებლის ქუჩის რეკონსტრუქცია;
- ქ.თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება 2000 წლისათვის;
- ქ.თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა 1968-2000 წლებისათვის;
- ქ.თბილისის რკინიგზის ვაგზლის შენობა;
- ქ.თბილისის რკინიგზის ვაგზლის მოედნის რეკონსტრუქცია;
- გიორგი III სასახლის რეკონსტრუქცია;

- დარეჯანის სასახლის მიმდებარე განაშენიანების რეკონსტრუქცია;
- მეტეხის პლატოს განაშენიანების რეკონსტრუქცია;
- მეტეხის ქარვასლის რეკონსტრუქცია-ადაპტაცია;
- მეტეხის ქარვასლის რეკონსტრუქცია-ადაპტაცია;
- თბილისის ქარვასლის რეკონსტრუქცია-ადაპტაცია;
- სიონის ტაძრის მიმდებარე განაშენიანების რეკონსტრუქცია;
- დარეჯანის სასახლის რეკონსტრუქცია;
- სამღებროს ქ. № 19 სახლის რეკონსტრუქცია-ადაპტაცია;
- სასტუმრო „მეტეხი" თბილისში;
- დინამოს სტადიონის კლუბის ინტერიერი;
- კინოთეატრ „აპოლო"-ს რეკონსტრუქცია;
- ტქნიკური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის ინტერიერი;
- საცხოვრებელი სახლი წითელწყაროს ქუჩაზე
- საცხოვრებელი სახლი ჭავჭავაძის გამზირზე (არსებული კარკასის რეკონსტრუქცია);

ენები: ქართული, რუსული - თავისუფლად.

თენგიზ გაბუნია

პირადობის მოწმობა ბ 0288174 პირადი 01009014738

გაცემულია 03/07/2000წ თბილისის ვაკის შ/ს განყოფილების მიერ
დაბადების თარიღი: 03. 21 1954
მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. IVკვ, 25კორპ. ბინა 51

1971 წ დაამთავრა თბილისის 47 ე საშ სკოლა.

1974-1980 სამხატვრო აკადემიის სტუდენტი

1980 წ დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი, რესტავრაციის განხრით.

შრომითი მოღვაწეობა:

1972-1974წწ მუშაობს სარესტავრაციო-საპროექტო სახელოსნოში, ტექნიკოსად.

1980 წ-დან მუშაობს სარესტავრაციო-სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. 2000 წ-დან მუშაობს საქართველოს საპატრიარქოს ხელოვნების, ხუროთმოძღვრების და რესტავრაციის ცენტრში, არქიტექტორ-რესტავრატორად.

წლების განმავლობაში მონაწილეობს მრავალ სამეცნიერო-კვლევით ექსპედიციაში, აწარმოებს აზომვით,საპროექტო, კვლევით და საწარმოო-აღდგენით სამუშაოებს როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ასევე მის გარეთ (ჩეჩენო-ინგუშეთი, დაღესტანი, აზერბაიჯანი, კვიპროსი)

1988-1989წწ. ძეგლების აზომვა ფიქსაცია ნუსხისათვის (მეორე, მეხუთე ტომი)

ფონდ "ღია - საქართველოს" გრანტით:
1997-1998წწ კვლევითი და აზომვითი სამუშაოები ქვემო ქართლში (აზომილია და შესწავლილი 200მდე ძეგლი)
2004წ. გამარჯვებული პროექტების(ფილმების) "სამშვილდე" და "ქვათა შეკრების" თანაავტორი

მონაწილეა ა.შ. შ-საელჩოს და მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში (კვლევები და აღდგენითი სამუშაოები):
ტიმოთესუბანი, ატენის სიონი, გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ნართექსი, ეკვდერით, ყინწვისის სამონასტრო კომპლექსი. დავით გარეჯი ლავრა, თიღვას ტაძარი, ურბნისის საკათედრო ტაძარი, ნიქოზის ღვთაება და სამრეკლო, ნოქალაქევის სასახლე, მარტვილის ტაძარი.

ბოლო წლებში შესრულებული კვლევითი-საპროექტო, საწარმოო-აღდგენითი სამუშაოები:

სამთავისის კომპლექსი, სამშვილდის ნაქალაქარი, წყლულეთის ეკლესია, კაცხის სვეტი, ნავარძეთი, ტბისი, ხვითი, ნიქოზის: ეპისკოპოსის სასახლე, მთ. ანგელოზი, წმ. გიორგი და კვირაცხოველი, კვიპროსისს ღალიის ქართველთა მონასტერი, გელათის წმ. ნინოს ეკლესია, ძველი თბილისის საცხოვრებელი სახლები და სხვა.

აბისის ციხე დარბაზი

ჩასატარებელი კვლევითი-საპროექტო სამუშაოების

მოკლე აღწერა

აბისის ციხე დარბაზი მდებარეობს საქართველოში, შიდა ქართლის მხარეში, ქარელის მუნიციპალიტეტში, მისგან ჩრდილო დასავლეთით 20 კმ.-ში მდებარე სოფელ აბისის გარეუბანში, მდინარე დასავლეთ ფრონის მარჯვენა და ტკოცურას ხევის მარცხენა ნაპირზე.

ციხე-დარბაზი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ციხე-დარბაზის ნათლისმცემლის ეკლესია ურბნისისა და რუისის ეპარქიის დაქვემდებარებაშია.

აბისის ციხე-დარბაზი აგებულია XVIII საუკუნის 50-60 იან წლებში, ნასოფლარი გვიანდელ ფეოდალურ ხანით თარიღდება. ციხე-დარბაზის ეკლესია, მისი სამხრეთ კარის თავზე არსებული მხედრული წარწერის თანახმად, აგებულია 1754 წელს აზნაურ ზაალ მახვილაძის დაკვეთით (დღეს ეს წარწერა დაკარგულია). ზაალ მახვილაძეს განუზრახავს მოთარეშე მტრების მიერ დარბეული ამ მიდამოების აღდგენა.

ციხე-დარბაზის კომპლექსი სამი სხვადასხვა დროს აგებული ნაწილისაგან შედგება: ციხე-დარბაზის, კოშკისა და ნათლისმცემლის ეკლესიისაგან. თავდაპირველად ციხე-დარბაზი აუგიათ, შემდეგ მისთვის ჩრდილოეთით ოთკუთხა კოშკი მიუშენებიათ და ბოლოს სამხრეთით – ეკლესია. ნაგებობები ნაშენია რიყისა და ნატეხი ქვით, წირთხლებზე აყოლებულია თლილი ქვა.

ა) ციხე დარბაზის (8.4X7მ.) კუთხეებში მცირე ზომის ცილინდრული (დიამ. 2.5-2.7მ.) კოშკი დგას. ერთ-ერთი კოშკისგან შემორჩენილია სამი სართული. I სართულზე (ამოვსებულია ნანგრევებით) დამხმარე სათავსოები უნდა იყოს: II სართული საცხოვრებელი და სათავდაცვო დანიშნულებისაა. აქ კედლებში მრავალი ნიში, სარკმელი, ცალმაგი და ორმაგი სათოფურია. სამხრეთით კარია, რომელსაც ეკლესიის მხრიდან კიბე ეკვრის. II სართულის ნაწილობრივ გადარჩენილ კედლებშიც დატანებულია სათოფურები, ნიშნები და სარკმლები. კუთხის მცირე ზომის ცილინდრულ კოშკებს მხოლოდ თავდაცვისათვის იყენებდნენ. ბ) კოშკი, რომლის ციხე-დარბაზს ჩრდილოეთის მხრიდან აქვს მიშენებული, სამსართულიანი უნდა ყოფილიყო. I სართული დამხმარე სათავსია, II –საცხოვრებლი. აქ დასავლეთით ბუხარია, კედლებში რამოდენიმე საფეხურია; III სართულიდან უმნიშვნელო ნაწილია გადარჩენილი. გ) ნათლისმცემლის ეკლესია დარბაზულია (7.3X5.6მ.) შესასვლელი სამხრეთიდანაა. აფსიდში ერთი სარკმელი და რამდენიმე ნიშია, სამხრეთ და დასავლეთ კედლებში – თითო სარკმელი.

ციხე-დარბაზის კომპლექსის სამივე ნაწილი ძლიერ დაზიანებულია. კედლების დიდი ნაწილი ჩამოშლილია, რამდენიმე ადგილზე მთელ სიმაღლეზე გაჩენილია ბზარები, რაც მიანიშნებს, რომ მზიდი კონსტრუქცია განიცდის ჯდენას და ნაგებობის მდგრადობას ეჭვქვეშ აყენებს. დარბაზის და კოშკების ქვედა სათავსები მიწაყრილით და

ნანგრევებითაა ავსებული. მთლიანად დაფარულია სართულშუა გადახურვის ჩამაგრების ადგილები. კოშკებზე არ იკითხება ქონგურების კვალი. ეკლესიის გადახურვა მთლიანად ჩანგრეულია, შერჩენილია მხოლოდ კონქის ნაწილი.

ძეგლის გაწმენდამდე აუცილებლად ჩასატარებელია აზომვითი სამუშაოები, რადგან დავაზღვიოთ გაწმენდითი სამუშაობით გამოწვეული ძეგლის ნაწილიების ჩამოშლის შესაძლო საფრთხე. ასევე ძეგლის გაწმენდამდე შესაძლოა დამუშავდეს ეკლესიის აღდგენის სრულყოფილი და ციხე დარბაზის კონსერვაციის არქიტექურული ნაწილი.

სრულყოფილი კონსერვაცია-აღდგენითი სამუშაოებისათვის საჭიროა, როგორც ნაგებობის ასევე ძეგლის ტერიტორიის გაწმენდა ნანგრევებისა და მიწყრილისაგან. ძეგლის გაწმენდის პარალელურად უნდა განხორციელდეს კედლების მორყეული ნაწილების გამაგრება. გაწმენდითი სამუშაოების წარმოება უნდა მოხდეს არქიტექტორ-რესტავრატორისა და არქეოლოგის ზედამხედველობით.

ამრიგად საპროექტო სამუშაოები ორ ეტაპად უნდა განხორციელდეს: I არსებული მდგომარეობის ფიქსაცია, ეკლესიის აღდგენის სრულყოფილი და ციხე დარბაზის კონსერვაციის (სილუეტის დადგენის) არქიტექტურული სამუშაოები; II ციხე დარბაზის აღდგენა-კონსერვაციის სრულყოფილი სამშენებლო პროექტის დამუშავება.

I ეტაპის საპროექტო სამუშაოების პარალელურად შესადგენია გაწმენდითი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა რის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს გაწმენდითი სამუშაოები არქიტექტორ-რესტავრატორისა და არქეოლოგის ზედამხედველობით, რაც შექმნის საფუძველს ციხე დარბაზის აღდგენა-კონსერვაციის სამშენებლო პროექტის დამუშავებისათვის და საპროექტო სამუშაოების დასრულებისათვის.

კედლებნის ჯდენის მიზეზის დასადგენად საჭირო იქნება კედლების საყრდენი გრუნტის და საძირკვლის მდგრადობის შესწავლა.

გამოყენებული მასალები და ბიბლიოგრფია : საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა – ტ5, გამომცემლობა თბილისი. 1990 წ.

გ. ჯაფარიძე

თ. გაბუნია

მე მერაბ მექვაბიშვილი 1980 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი "სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის" სპეციალობით. ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტების პროექტები:

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, მთაწმინდა-კრწანისის რ-ნი, გორგასლის ქ. №10.

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, წითელწყაროს ქუჩისა და წითელწყაროს I შესახვევის კუთხეში.

— ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვახუშტის სახელობის ხიდიდან სააკაძის მოედნისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე მრავალსართულიანი საოფისე შენობის პროექტი.

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, შატბერაშვილის ქ№74.

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, მთაწმინდა-კრწანისის რ-ნი, მაყაშვილის ქ№ 1/22

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, მთაწმინდა-კრწანისის რ-ნი, რჩეულიშვილის ქ№11

— გორის რაიონი, დაბა ტირძნისი, საშ. შკოლა – 600 მოსწავლეზე.

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, მარგიანის ქ. №2–4.

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, კანდელაკის ქ. №6.

— ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი დაბა კიკეთში.

— კახეთის გზატკეცილი №38 პატრულის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი.

და მრავალი სხვა.

მიღებული მაქვს მონაწილეობა ძველი თბილისის აღდგენით სამუშაოებში 2009-2010 წლებში.

პატივისცემით

ინჟ. კონსტრუქტორი მერაბ მექვაბიშვილი

CV

სახელი, გვარი: მამუკა ბაბილოძე

დაბადების თარიღი და ადგილი: 6 მარტი 1963 წელი ქ.თბილისი,

მისამართი: ქ.თბილისი, ნუცუბიძის პლატო, IV მ/რ, მე-17 კორპ. ბინა 106. ტ. 599989199

განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი გეოლოგიური ფაკულტეტი

სამთო ინჟინრის დიპლომი

პროფესია ინჟინერ – გეოლოგი

მუშაობის სტაჟი: 25 წელი

ეროვნება: ქართველი

პროფესიული გამოცდილება:

1986-1989 "საქქალაქმშენპროექტი" – გრუნტებისა და წყლის კვლევითი ლაბორატორია – ინჟინერი

1989 – 1991 "საქაგრომრეწვმშენპროექტი"- მეორე კატეგორიის ინჟინერი

1992–2011 "თბილქალაქპროექტი"– ინჟინერი, საინჟინრო გეოლოგიის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

შპს. "გენგეოს" დირექტორი.

ენების ცოდნა:

	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად
ინგლისური	ლექსიკონის დახმარებით		
კომპიუტერი:	mikrosoft office, Autocad		

მამუკა ბაბილოძე

თარიღი: 29.02.12 წ.

აბისის ციხე დარბაზი

კონსტრუქციულ-გეოლოგიური დასკვნა

ციხე-დარბაზის კომპლექსი სამი სხვადასხვა დროს აგებული ნაწილისაგან შედგება: ციხე-დარბაზის, კოშკისა და ნათლისმცემლის ეკლესიისაგან. თავდაპირველად ციხე-დარბაზი აუგიათ, შემდეგ მისთვის ჩრდილოეთით ოთკუთხა კოშკი მიუშენებიათ და ბოლოს სამხრეთით – ეკლესია. ნაგებობები ნაშენია რიყისა და ნატეხი ქვით, წირთხლებზე აყოლებულია თლილი ქვა.

კომპლექსის ცალკეული ნაწილების მზიდი ელემენტები დაზიანებულია, მთლიანადაა ჩამოშლილი გადახურვები. ციხე-დარბაზის დასავლეთის კედელზე აღინიშნება გამჭოლი ბზარი, აღმოსავლეთის და ჩრდილო აღმოსავლეთის კოშკებს შორის მოქცეული კედლები ჩამოშლილია. გამჭოლი ბზარი აქვს ასევე ოთკუთხა კოშკის ჩრდილო-დასავლეთის კედელს. სავარაუდოდ ეს დაზიანებები ნაგებობის ჯდენითაა გამოწვეული, შესაძლოა შენობამ ჯდენა გარკვეულ ეტაპზე განიცადა და მყარ გრუნტებზე ჯდომის შემდგომ ეს პროცესი შეჩერდა. ეკლესიის კედლებზე ბზარები არ შეიმჩნევა.

არსებული მდგომარეობის ფიქსაციის შემდგომ შესაძლოა ეკელსიის აღდგენის სამშენებლო პროექტის დამუშავება. რაც შეეხება ციხე-დარბაზსა და კოშკს, თავის დაზღვევის მიზნით, თავდაპირველად საჭიროა აზომვითი სამუშაოების ჩატარება; აზომვითი სამუშაოები საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ გაწმენდითი სამუშაოების სრული მოცულობა და შევადგინოთ გაწმენდითი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა. სამუშაოები უნდა შესრულდეს კონსტრუქტორის, გეოლოგისა და არქეოლოგის. ზედამხედველობის ქვეშ. ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების დაზიანებების გამომწვევ მიზეზთა დადგენის შემდგომ შესაძლოა საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების II ეტაპის განხორციელება და ციხე დარბაზისა და კოშკის აღდგენა-კონსერვაციის სამშენებლო დოკუმენტის დამუშავება.

კონსტრუქტორი: მ. მექვაბიშვილი

გეოლოგი: მ. ბაბილოძე

<u>დავით ბერიკაშვილი</u>

დაბადების თარიღი: 1976.08.01

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი 3ა.
თბილისი, საქართველო

კონტაქტი: ტელ. 232 6980
მობ. 599 319 915
ელ-ფოსტა; d.berikashvili.@yahoo.com

სამუშაო ადგილი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი

სამეცნიერო ხარისხი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

პოზიცია: უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

სპეციალობა: არქეოლოგი

ენები: ინგლისური, გერმანული, რუსული

განათლება:

1994-1998 წწ. – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. ისტორიის ბაკალავრი. საბაკალავრო თემა „თრიალეთის კულტურა და მისი ორნამენტიკა"

1999-2001 წწ. - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. ისტორიის მაგისტრი. სამაგისტრო თემა - „ქართველურ ტომთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში"

2006 წ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. ისტორიულ მენციერებათა დოქტორი. სადოქტორო თემა - „ზემო იმერეთის ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები"

პროფესიული გამოცდილება:

2001-04 წწ. აკად. შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი. წინაქრისტიანული ხანის ხელოვნებისა და არქეოლოგიის განყოფილება.

2004-2011 წწ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. არქეოლოგიის დეპარტამენტი.

2001-2002 წწ. არქეოლოგიური კვლევების ცენტრისა და ტიუბინგენის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი - „დიდი გორის" ნამოსახლარის არქეოლოგიური კვლევები.

1998-2004 წწ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის ერთობლივი ექსპედიცია ძუძუანას მღვიმის პალეოლითურ სადგომზე.

2003 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის ერთობლივი ექსპედიცია - "ორთვალა მღვიმის" მუსტიერულ სადგომზე.

2001 – 2004 წწ. საქართველო-გერმანია-საფრანგეთის ერთობლივი ექსპედიცია დმანისის პალეოლითურ სადგომზე.

2004-2011 წ. კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს საპატრიარქოს ერთობლივი პროექტი „სამთავისის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევა და რეაბილიტაცია"

2007-09 წწ. კაცხის სვეტის არქეოლოგიური ექსპედიცია

2008-2011 წწ. საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ალავერდის ეპარქიის ერთობლივი პროექტი -„ალავერდის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია და წმ. იოსებ ალავერდელის სამარხის კვლევა"

2008 წ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია. წყაროსთავის კოშკის არქეოლოგიური კვლევა და რეაბილიტაცია

2011 წ. თხოთის მთის წმ. ნინოს ეკლესიის არქეოლოგიური კვლევა და რესტავრაცია.

2011 წ. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის პროექტი - წმ. დოდოს გარეჯელის მონასტრის არქეოლოგიური კვლევა და რეაბილიტაცია.

განხორციელებული პროექტები, გრანტები და ტენდერები:

2007 წ. საერთაშორის საქველმოქმედო ფონდ „ქართუ"-ს პროექტი - „მოდინახე-ხუთიათასწლოვანი ისტორია." (სამეცნიერო კრებულის მაკეტის პუბლიკაციისათვის მომზადება).

2007 წ. საერთაშორის საქველმოქმედო ფონდ „ქართუ"-ს პროექტი - „საჩხერისა და ჭიათურის არქეოლოგიური ძეგლების სისტემატიზაცია და მათი GPS რუკის შექმნა.

2007 წ. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და USIDE – ს ერთობლივი პროექტი „სამთავისი 2007" (საზაფხულო სკოლა მოსწავლეებისათვის).

2008 წ. საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუ"-ს პროექტი - „წყაროსთავის კოშკის არქეოლოგიური კვლევები"

2004-2008 წწ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ტენდერი - „სამთავისის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევა და რეაბილიტაცია"

2009 წ. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და QSI-TBILISI-ს ერთობლივი პროექტი - „საზაფხულო სკოლა სტუდენტებისათვის - სამთავისი 2009"

2009 წ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ტენდერი - „ატენის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევები".

2010 წ. QSI-TBILISI-ს პროექტი „საზაფხულო-საველე პრაქტიკები არქეოლოგიაში. საველე სკოლა სტუდენტებისათვის ალავერდში"

2009-10 წწ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და სამთავისისა და გორის ეპარქიის პროექტი - „სამთავისის უძველესი ბაზილიკის არქეოლოგიური კვლევა და კონსერვაცია"
2009-10 წწ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ალავერდის ეპარქიის პროექტი - „ალავერდის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური გათხრები და რეაბილიტაცია"

2011 წ. საქართველოს საპატრიარქო-სამთავისისა და გორის ეპარქიის პროექტი - „წმ. ნინოს ეკლესიის არქეოლოგიური კვლევა თხოთის მთაზე.

2011 წ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ტენდერი - „წმ. დოდო გარეჯელის მონასტრის არქეოლოგიური კვლევა-რეაბილიტაცია."

სამეცნიერო ფორუმები და კონფერენციები:

2001 წ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის ქართველოლოგიური კათედრების ახალგაზრდა მეცნიერთა II სამეცნიერო კონფერენცია. თემა: „ნატუფის კულტურა პალესტინაში".

2002 წ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო კონფერენცია. თემა: "თრიალეთური კერამიკის ორნამენტიკა"

2003 წ. მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის სამეცნიერო კონფერენცია. თემა: „სოფელ ქვემო ბერეთისაში ჩატარებლი არქეოლოგიური გათხრების სამენციერო შედეგები"

2005 წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. უფლისციხის ექსპედიციის 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამენციერო სესია. თემა: „სამთავისის სამონასტრო კომპლექსის სამეურნეო უბნის არქეოლოგიური კვლევების შედეგები".

2007 წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. სამენციერო სესია - „არქეოლოგიური საუბრები". თემა: „კაცხის სვეტის არქეოლოგიური გათხრები".

2009 წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ჯ. ნადირაძის 80 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. თემა: „სამთავისის მონასტრის ზეთსახდელი ნაგებობა"

2010 წ. ქ. გორის სულიერი განათლებისა და კულტურის ცენტრი. კათალიკოს-პატრიარქის საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია. თემა: „სამთავისის მონასტრის კერამიკული სახელოსნო და კერამიკის წარმოების პრობლემატიკა."

პედაგოგიკური საქმიანობა:

2008 წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში გამართული პოპულარულ შემეცნებითი ლექცია არქეოლოგიაში ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის.

2009 წ. სამეცნიერო-პოპულარული ლექციების კურსი არქეოლოგიაში თბილისის ამერიკული სკოლის (QSI) მოსწავლეთათვის საქართველოს ეროვნულ მუზეუმის აუდიტორიაში.

2010 წ. სამეცნიერო-პოპულარული ლექციების კურსი ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლებისათვის სამთავისის სამონასტრო კომპლექსში.

2010 წ. პოპულარული არქეოლოგიის კურსი თბილისის ამერიკული სკოლის (QSI) მოსწავლეთათვის სოფ. საირხეში, წყაროსთავის გორაზე.

2010 წ. ლექციების კურსი არქეოლოგიაში ქ. თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტის აუდიტორიაში.

2011 წ. პოპულარული არქეოლოგიის კურსი საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში ძეგვის ბავშვთა სახლის აღსაზრდელთათვის.

2012 წ. არქეოლოგიური ლექცია წინაქრისტიანული ხანის ქართულ ხელოვნებაში ამერიკული სკოლის მოსწავლეთათვის საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურში.

გამოქვეყნებული ნაშრომები:

1. ქართველ ტომთ რელიგიური რწმენა-წარმოდგენებია ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში. ა.ჟ. II. თბ.2002. გვ.16

2. ზემო იმერეთის ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის სამარხთა პერიოდიზაცია. ა.ჟ. III. თბ. 2004. გვ. 20

3. აღმოსავლეთ და დასავლეთქართული კულტურათა შეხვედრა ზემო იმერეთის ტერიტორიაზე. ა.ჟ. III. თბ. 2004. გვ.29 (დ. ბერიკაშვილი, გ. მახარაძე)

4. ქვემო წყლულეთის ეკლესიის არქეოლოგიური გათხრები ა.ჟ. IV. თბ.2006. გვ. 107.

5. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული სამუშაოები კაცხის სამონასტრო კომპლექსში, ნავარძეთის ბორცვსა და სოფელ პერევისაში. ა.ჟ. V. თბ. 2010. გვ.78.

6. სამთავისის მონასტრის ზეთსახდელი. ა.ჟ. V. თბ. 2010. გვ.99

7. დუმალას კოშკისა და ახაშმურის ნამოსახლარის არქეოლოგიური გათხრები. ა.ჟ. V. თბ. 2010. გვ117. (დ. ბერიკაშვილი, გ. მახარაძე)

8. თრიალეთის კულტურის კერამიკის ორნამენტიკა. არქეოლოგიური ჟურნალი დამატება I. თბ.2001. გვ.8

9. არქეოლოგიური გათხრები სოფელ ქვედა ბერეთისაში. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები IX. თბ.2004. გვ.15 (დ. ბერიკაშვილი, გ. მახარაძე, ზ. ბრაგვაძე, მ. წერეთელი, გ. ლომთაძე)

10. ზემო იმერეთის ადრებრინჯაოს ხანის ნამოასხლარები. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები VIII. თბ.2003. გვ. 15

11. ჯიეთის შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარისა და მოდინახეს შუა ბრინჯაოს ხანის სამარხთა ურთიერთმიმართების საკითხისათვის. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები X. თბ.2005. გვ. 3

12. ნატუფის კულტურა პალესტინაში. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხების კრებული. თბ. 2001. გვ. 78

13. სამთავისის ბაზილიკის კრიპტის არქეოლოგიური გათხრები. „ანალები" III. აკად. დ. მუსხელიშვილის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემა.2008. (დ. ბერიკაშვილი, გ. მახარაძე, გ. ლომთაძე, ლ. ბითაძე, შ. ლალიაშვილი, ე. ყვავაძე)

14. კერამიკული სახელოსნო სამთავისიდან. ვ. სილოგავას ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიათა კრებული. 2011..

15. ანტეფიქსები და კრამიტები სამთავისის სამონასტრო კომპლექსიდან. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. II. თბ. 2011

არქეოლოგი: **დავით ბერიკაშვილი**

აბისის ციხე-დარბაზის კომპლექსი

(ისტორიული ნაწილი და ჩასატარებელი
არქეოლოგიურ სამუშაოები)

აბისის ციხე-დარბაზი მდებარეობს ქარელიდან 15 კმ მანძილზე, სოფ. აბისის გარეუბანში, მდინარე დასავლეთ ფრონის მარჯვენა და ტკოცურას ხევის მარცხენა ნაპირზე. ციხე-დარბაზი აგებულია მე-18 საუკუნის 50-60-იან წლებში. კომპლექსში შემავალი ეკლესია, მისი სამხრეთ კარის თავზე არსებული მხედრული წარწერის თანახმად აგებულია 1754 წელს აზნაურ ზაალ მახვილაძის დაკვეთით.

კომპლექსი სამი სხვადასხვა დროს აგებული ნაწილისაგან შედგება: ციხე-დარბაზის, კოშკისა და ნათლისმცემლის ეკლესიისაგან. თავდაპირველად ციხე-დარბაზი აუგიათ, შემდეგ მისთვის ჩრდილოეთით ოთხკუთხა კოშკი მიუშენებიათ და ბოლოს, სამხრეთიდან ეკლესია. ნაგებობები ნაშენია რიყისა და ნატეხი ქვით, წირთხლებზე აყოლებულია თლილი ქვა, ყველა ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია.

ციხე-დარბაზის (8,4X7 მმ) კუთხეებში მცირე ზომის ცილინდრული (დიამეტრიც 2,5X2,7 მმ) კოშკები დგას. ერთ-ერთი კოშკისგან შემორჩენილია სამი სართული. პირველ სართულზე (ამოვსებულია ნანგრევებით) დამხმარე სათავსები უნდა იყოს. მეორე სართული საცხოვრებელი და თავდაცვითი დანიშნულებისაა. აქ კედლებში მრავალი ნიში, სარკმელი, ცალმაგი და ორმაგი სათოფურია. სამხრეთით კარია, რომელსაც ეკლესიის მხრიდან კიბე ეკვრის. მესამე სართულის ნაწილობრივ გადარჩენილ კედლებშიც დატანებულია სათოფურები, ნიშები და სარკმლები. კუთხის მცირე ზომის ცილინდრულ კოშკებს მხოლოდ თავდაცვისათვის იყენებდნენ.

კოშკი, რომელიც ციხე-დარბაზს ჩრდილოეთის მხრიდან აქვს მიშენებული სამსართულიანი უნდა ყოფილიყო. პირველი სართული დამხმარე სათავსია, მეორე საცხოვრებელი, აქ დასავლეთით ბუხარია, კედლებში რამდენიმე სათოფურია. მესამე სართულიდან უმნიშვნელო ნაწილია გადარჩენილი.

აბისის ნათლისმცემლის ეკლესია დარბაზულია (7,3X5,6 მმ). შესასვლელი სამხრეთიდანაა, აფსიდში ერთი სარკმელი და რამდენიმე ნიშია, სამხრეთ და დასავლეთ კედლებში თითო სარკმელი. ციხე-დარბაზის ტერიტორიაზე ზედაპირულად მოიპოვება უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, დიდი

ზომის ქვევრის ფრაგმენტები, შეინიშნება რიყისა და კლდის ნატეხი ქვით ნაგებ შენობათა საძირკვლის ნაშთები.

გასულ წელს ძეგლის ტერიტორია, კერძოდ კი ნათმლისმცემლის ეკლესია სასულიერო პირების მიერ გაწმენდილი იქნა ნანგრევი და ნაყარი ფენისაგან. აღნიშნული სამუშაოების დროს გამოვლინდა კერამიკული ფრაგმენტები და თიხის ჭურჭლის ნიმუშები. ცხადია, რომ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისევე როგორც ციხე-დარბაზის გარეთ და შიგნით ვრცელდება კულტურული ფენები, რაც საჭიროებს არქეოლოგიური მეთოდების გამოყენებით გათხრას, სტრატიგრაფიის დადგენასა და აღმოჩენილი მასალების კლასიფიკაცია-დათარიღებას.

სტაციონარული არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე აუცილებელია სადაზვერვო თხრილებისა და შურფების გაკეთება, რაც წინასწარულად დაადგენს კულტურული ფენების სიმძლავრესა და მათი გავრცელების არეალს. აღნიშნული სადაზვერვო სამუშაოების შემდეგ აუცილებელია ძეგლის გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა, რაც ნათელს მოჰფენს აბისის შუასაუკუნეების ციხე-დარბაზისა და ზოგადად სოფელ აბისის ისტორიას.

არქეოლოგი დავით ბერიკაშვილი

გიორგი ჭანიშვილი

დიღმის მასივი, 5 კვ., 9 კორპ., ბ.85,
ქ. თბილისი, 0159, საქართველო,
ტელ. 52-69-67, მობ. 8(99)28-66-42,
ელ-ფოსტა chanishviligiorgi@gmail.com

განათლება –

1971-1976 -	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტი, სპეციალობა –ხელოვნების ისტორია;
2009-2010 წწ	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი;
ენები –	ქართული (მშობლიური), რუსული, ინგლისური.

კომპიუტერული პროგრამები: **Mikrosoft Word, Photoshop, Photoimpact**

პროფესიული გამოცდილება:

2006 წლიდან – გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის მეც. თანამშრომელი;

2005 წელს – არასამთავრობო ორგანიზაცია "საზოგადოება და კულტურული მემკვიდრეობა" (ასოციაცია) ერთ-ერთი დაფუძნებული;

2004 წლიდან – თბილისის ურბანული მემკვიდრეობის შემსწავლელი ჯგუფის სამეცნიერო ხელმძღვანელი;
2003-05 წწ. – რესტავრატორთა გილდიის გამგეობის წევრი;

2002 წლიდან – საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების საბჭოს წევრი;

1998 – 2004 – სს "რესტავრაცია-კონსერვაციის ცენტრი" – მთ. სპეციალისტი;

1995 – 2000 - ICOMOS– ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრი;

1994 – 1998 – ინსტიტუტი „საქრესტავრაცია" - უფროსი მეც. მუშაკი;

1992 – 1994 – ჟურნალ „ძეგლის მეგობრის" სარედაქციო კოლეგიის წევრი;

1992 – 2004 – დმანისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი – კონსულტანტი;

1983 - 1994 – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამმართველო –ხელოვნებათმცოდნეობის განყოფილება – მეც. მუშაკი;
1978 - 1983 – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამმართველო – რესპუბლიკური ინსპექციის განყოფილება – უფ. ინსპექტორი;
1976 - 1978 – ხალხური ყოფისა და არქიტექტურის ღიაცისქვეშ მუზეუმი – უმც. მეც.მუშაკი;

კვლევის უმთავრესი სფერო:

ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ძეგლების ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, მათი რესტავრაციის პროცესში.
ამ უკანასკნელ წლებში უმთავრესად ვმუშაობ თბილისის და საქართველოს სხვა ქალაქების ურბანული მემკვიდრეობის შესწავლაზე და ხუროთმოძღვრული ნაგებობების გადარჩენისა და რეაბილიტაციის საკითხებზე.

შესრულებული კვლევითი სამუშაოები:

400-ზე მეტი საკულტო და საერო არქიტექტურული ძეგლის სარესტავრაციო, ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, მათ შორის ისეთ ნაგებობებზე, როგორიცა:

საკულტო ძეგლები: ალავერდის კომპლექსი, აწყურის ტაძარი, ბაგრატის ტაძარი, ვაჩნაძიანის ყველაწმინდა, სამთავროს კომპლექსი, ფიტარეთის კომპლექსი, ნეკრესის კომპლექსი, სამშვილდეს კომპლექსი, გრემის კომპლექსი;

საერო ძეგლები: აწყურის ციხე, გორის ციხე, ქ. სიღნაღის ისტორიული ბირთვი, ქ. თელავის ისტორიული ბირთვი, თბილისის I გიმნაზია, საქართველოს ეროვნული ბანკის შენობა, რუსთაველის თეატრი, მარჯანიშვილის თეატრი, სახელმწიფო კონსერვატორიის შენობა, შატილის კომპლექსი, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში და სხვა.
ეს ნაშრომები ინახება ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის არქივში.

გამოცემული სტატიები და ნაშრომები:

1. ძეგლთა დაცვის ზოგიერთი საკითხის შესახებ – „ძეგლის მეგობარი“, თბ., №57, 1981წ;
2. „ატენის სიონი“ (ბუკლეტი) – თბ., 1984წ;
3. „გუჯარეთის ხეობა“ (თანაავტორი) – თბ., 1987წ;
4. ავენისის არქიტექტურული კომპლექსი – „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1991წ. №1;
5. დათუნას ეკლესია დაღესტანში – „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1993წ. №1;
6. თბილისის I გიმნაზიის რესტავრაციის შესახებ, „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1994წ. №1;
7. სოფ. რუისის წმ. დემეტრეს ეკლესია – საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს სამეცნიერო შრომების წელიწდეული № I, 1995წ.
8. ვეჯინის სამონასტრო კომპლექსი – ძეგლთა დაცვის სამეცნიერო შრომების წელიწდეული № II, 1996წ.
9. ქვემო ქართლის, XII-XIII სს. დარბაზულ ეკლესიათა ზოგიერთ ნიშან-თვისებათა შესახებ – ძეგლთა დაცვის სამეცნიერო შრომების წელიწდეული № III, 1998წ.
10. ექსპედიცია ქვემო ქართლში, ჟურნ. „არტანუჯი“, №8/9, 1999წ;
11. ახლად აღმოჩენილი ეკლესია სოფ განთიადთან – ძეგლთა დაცვის სამეცნიერო შრომების წელიწდეული № IV-V, 2001წ.
12. „სახლი თბილისის ანჩისხატის უბანში (შავთელის ქუჩაზე)“ – თბ., 2006წ;
13. ისტორიულ-არქიტექტურული პოტენციალის განსაზღვრა შემეცნებითი და ეკო-ტურიზმის მიზნებისათვის – „საქართველოს გეოგრაფია“, 2008წ, 6/7;
14. „სამთავრო – წმინდა ნინოს დედათა მონასტერი“ თბ., 2008წ;

კონფერენციები:

1997 – მონაწილეობა საერთაშორისო სასწავლო კურსი „ხალხური ხუროთმოძღვრების მნიშვნელობა და მისი დაცვის პრობლემები";

2001 – მონაწილეობა საერთაშორისო სასწავლო კურსი „საერთაშორისო პროექტებისა და გრანტების მომზადება";

2002 – მონაწილეობა რესტავრაციის საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში, თბილისი;

მონაწილეობა პროექტებში:

1994 – 1996 მონაწილეობა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესახებ საინფორმაციო ბანკის შექმნაში;

1997 – პროექტის ავტორი და დირექტორი – „ქვემო ქართლის უცნობი ხუროთმოძღვრული ძეგლების გამოვლენა;

1998 – მონაწილეობა პროექტში – „თელავის ურბანული მემკვიდრეობის აღრიცხვა და სააღრიცხვო ბარათების შედგენა";

1999 – პროექტის ავტორი, – „ქვემო ქართლის მეგალითური ძეგლების გამოვლენა";

2004 – მონაწილეობა პროექტში „გარე ავლაბრის ურბანული მემკვიდრეობის კვლევა";

2005-2006წწ. – მონაწილეობა პროექტში თბილისის ისტორიული ნაწილის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაფარვითი ინვენტარიზაცია";

2006წ – პროექტის ავტორი – „ქ. თელავის და ქ. სიღნაღის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენა";

2006წ. – პროექტის ავტორი – „ქ. თბილისის არქივებში არსებული ისტორიული დოკუმენტაციის მოძიება და ციფრული დამუშავება";

2006წ. – პროექტის ავტორი „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლ(ებ)ზე მუდმივად განახლებადი კომპლექსური მონაცემთა ბაზის შექმნა";

2007წ. – პროექტის ხელმძღვანელი. „ დიდი ლიახვის მუზეუმ ნაკრძალის გზამკვლევი, ბუკლეტის მომზადება გამოსაცემად (დიდი ლიახვის ხეობის ძეგლები)";

2008წ. – პროექტის ხელმძღვანელი. ცხინვალის რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ნუსხის დამუშავება. ვებ-გვერდზე განთავსდა რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ნუსხა და 34 მნიშვნელოვანი ძეგლის ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, ფოტოილუსტრაციებით;

2008წ. – მონაწილეობა პროექტში. „ისტორიული პროვინცია თორის (ბორჯომის რ-ნი) უძრავი ძეგლების დაფარვითი ინვენტარიზაცია“;

2008წ. – პროექტის ხელმძღვანელი. „2009წლის კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო ობიექტების ნუსხის და კვლევის აქტების შედგენა“;

პედაგოგიური მოღვაწეობა:

1996 – 2007წწ – საბუნებისმეტყველო ლიცეუმის ისტორიისა და ხელოვნების ისტორიის პედაგოგი;
2002-05წწ – თბილისის სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტის დიპლომანტების კონსულტანტი.

ა). მონაწილეობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებით სამეცნიერო კვლევაში და პოპულარიზაციაში.

– ჩატარებული მაქვს 400-ზე მეტი საკულტო და საერო არქიტექტურული ძეგლის ისტორიულ-არქიტექტურული და სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, რისი მთავარი დანიშნულება იყო ნაგებობათა რესტავრაცია და ახალმშენებლობა;
– სისტემატურად ვაქვეყნებდი სამეცნიერო-პოპულარულ სტატიებს ჟურნალ-გაზეთებში. მქონდა გადაცემათა ციკლი საქართველოს რადიოში, რაც ემსახურებოდა ხუროთმოძღვრული ძეგლების პოპულარიზაციას.

ბ). კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის და დოკუმენტაციის შეგროვება.
– მოპოვებული მაქვს ინფორმაცია და დოკუმენტური მასალა რამდენიმე ასეული ხუროთმოძღვრული ძეგლის შესახებ, საქართველოს სხვადასხვა არქივებსა და წიგნთსაცავებში;
– შედგენილი მაქვს რამდენიმე ასეული ხუროთმოძღვრული ძეგლის დაცვითი ზონა.
– ვმონაწილეობდი საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესახებ საინფორმაციო ბანკის შექმნაში და შედგენილი მაქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა სია;

გ). კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მეთოდოლოგიის კვლევა და პრაქტიკაში დანერგვა.
– 2005 წელს ვმონაწილეობდი არქიტექტურულ ნაგებობათა ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის და ქალაქების ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შედგენის ინსტრუქციის პროექტის შემუშავებაში და ვიყავი ამ პროექტის კონსულტანტი.

– მონაწილეობა მაქვს მიღებული ხუროთმოძღვრული ძეგლების დაცვითი ზონების შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავებაში.

დ). კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა ფიქსაცია.
– მონაწილეობა მაქვს მიღებული რამდენიმე ათეული ხუროთმოძღვრული ძეგლის აზომვაში და შესრულებული მაქვს, რამდენიმე ათეული პასპორტი და რამდენიმე ასეული სააღრიცხვო ბარათი;

ე). კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სპეციალისტთა მომზადებაში მონაწილეობის მიღება.

– მონაწილეობა მაქვს მიღებული თბილისის სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტის სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკაში და ვიყავი დიპლომანტების კონსულტანტი და რეცენზენტი.

02. 01. 2010წ.

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის წინასწარი
დაზვერვითი სამუშაო

თარიღი – 29. 02. 12

GPS :

C – 45⁰ 05' 53. 66"
B – 43⁰ 45' 34. 63"
ს.ზ.დ - 682მ.

ქარელის რ-ნი, აბისის ციხე-დარბაზი

ა. მნიშვნელობა – *სოფ. აბისი ავალიშვილების მამული იყო. ციხე-დარბაზი დგას სოფლის ჩრდილოეთ განაპირას, მინდორში, მდ. ფრონეს მარჯვენა ნაპირზე. სამხრეთ კედელზე მოთავსებული წარწერის მიხედვით ციხე XVIII ს-ში აუგია ზაალ მახვილაძეს მოთარეშე მთიელებისგან სოფლის დასაცავად.*

აბისის ციხე-დარბაზი (XVIII სს.) საფორტიფიკაციო ტიპის ნაგებობის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს. იგი გვიანი შუა საუკუნეების ეპოქის ფეოდალის რეზიდენციაა, სადაც შერწყმულია საცხოვრებელი და სათავდაცვო ფუნქცია. აქვეა იოანე ნათლისმცემლის სახელობის კარის ეკლესია.

ბ. მოსალოდნელი საფრთხე – *აბისის ციხე-დარბაზის კომპლექსში შემავალ ნაგებობათა მდგომარეობა მძიმეა. გამოფიტულია კედლები, განსაკუთრებით ზედა ნაწილებში და მათ თანდადათანობითი ნგრევა ემუქრება. დაზიანებები პროგრესირებადია და სერიოზული საფრთხის შემცველია. განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა ეკლესიაში რომლის კამარა ჩანგრეულია და კედლები გაშიშვლებული. ციხისა და ეკლესიის კედლები შესაძლოა ყოველ წუთში ჩამოიქცეს.*

გ. დღევანდელი მდგომარეობის დაფიქსირება:

აბისის ციხე-დარბაზი წარმოადგენს კომპლექსს, რომელშიც შედის ოთხი ცილინდრული ფორმის ბურჯით გამაგრებული სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკი, სამხრეთიდან მიშენებული კარის ეკლესია და მართკუთხა ნეგებობა ჩრდილოეთიდან.

შემონახულია საცხოვრებელი კოშკის ორი არასრული სართული, მეხუთე სართული მონგრეულია.

ციხე-დარბაზისათვის საშენ მასალად გამოყენებულია რიყის ქვა და უხეშად დამუშავებული ქვები, რომლებიც ჰორიზონტალურ რიგებადაა დალაგებული.

კარის ეკლესია ოდნავ უკეთ დამუშავებული ქვის წყობით არის აგებული.

□ძეგლის სამშენებლო ფენების წინასწარი განსაზღვრა

აბისის ციხე-დარბაზი XVIII საუკუნეშია აგებული. შენობას ეტყობა განახლების კვალი, თუმცა ძირეული გადაკეთება არ ჩანს.

დ. სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდის წინასწარი განსაზღვრა

აბისის ციხე-დარბაზის კომპლექსის მხატვრულ-არქიტექტურული და ისტორიული მნიშვნელობის, მისი მძიმე ფიზიკური მდგომარეობის და გარკვეული კედლის მასივების ჩამოქცევის საშიშროების გამო, აუცილებლია ძეგლზე განხორციელდეს გადაუდებელი გამაგრებითი სამუშაოები და ძეგლის სრული აღდგენა.

ე. გაბარიტული ზომები – *ცენტრალური კოშკი – 8,4 X 7 მ. ეკლესია 7,3 X 5,6 მ.*

ჩრდილოეთის კოშკი 4 X 6,1 მ.

ვ. ფიზიკური მდგომარეობის აღწერა

აბისის ციხე-დარბაზი, საქართველოში არსებულ სხვა მსგავსი ძეგლებთან შედარებით, მეტნაკლებად სრულადაა შემონახული (კედლების სიმაღლე ზოგიერთ მონაკვეთზე 10 მეტრამდე აღწევს), მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისით იგი ძალზე ცუდ მდგომარეობაშია. შენობის ზოგი მონაკვეთი კი მწვავედ ავარიულია.

მძიმე მდგომარეობაშია კარის ეკლესიაც. მისი შემორჩენილი კედლები არასრული სიმაღლით დგას; აღარ არსებობს გადახურვა; ღიობები გარღვეულია; ინტერიერი ნანგრევებითაა ამოვსებული. ფასადების დიდ ნაწილზე შემოცლილია საპირე წყობა.

თითქმის მთლიანად არის ჩამოქცეული ჩრდილოეთი კოშკურა მინაშენი.

ძეგლის შიგნით, ამაღლებულია მიწის დონე. საცხოვრებელი კოშკში და ციხე-დარბაზის ეზოში ხეებია ამოსული.

ზ. ჩასატარებელი სამუშაოები:

არქეოლოგიური სამუშაოები: – *ციხის ტერტორია უნდა გაიწმენდოს მცენარეული საფარისაგან (ბუჩქები და მცირე ხეები) და ნაწილობრივ, ზედაპირული მიწისაგან; საცხოვრებელი კოშკის ინტერიერი გასაწმენდია ჩახერგილობისა და დანალექი მიწისაგან. აღნიშნული სამუშაოების შესრულების დროს აუცილებელია არქიტექტორული და არქეოლოგიური ზედამხედველობა.*

სახელოვნებათმცოდნეო კვლევა: – *შესადგენია სრული ისტორიულ-არქიტექტურული და საარქივო-ბიბლიოგრაფიული კვლევა.*

აბისის ციხე დარბაზზე ჩასატარებელი კვლევითი და საპროექტო

სამუშაოების გეგმა–გრაფიკი

	ჩასატარებელი სამუშაოები	I 20.03.12– 05.05.12	II 05 05.12 –21.05. 12
1.	გაწმენდა-აზომვა	═══	
2.	გრაფიკული სამუშაო	= ═══	
3.	გეოლოგიური დასკვნა	═══	
4.	კონსტრუქციული დასკვნა	═══	
5.	ხელოვნებათმცოდნის დასკვნა	═══	
6.	საპროექტო სამუშაოები		═══
7.	კომპიუტერული გრაფიკა		═══

4704 ლარი 5296 ლარი

აბისის ციხე-დარბაზზე ჩასატარებელი

კვლევითი-საპროექტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

		დარიცხული ხელფასი
1.	აზომვითი სამუშაოები	1100 ლ.
2.	ნახაზების გამოხაზვა	779 ლ.
3.	რეაბილიტაციის პროექტი	2700 ლ.
4.	საინჟინრო-კონსტრუქციული დასკვნა	1125 ლ
5.	არქეოლოგიური სამუშაოები	1000 ლ.
6.	გეოლოგიური დასკვნა	300 ლ.
7.	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა	400 ლ.
8.	კომპიუტერული გრაფიკა	700ლ.

სულ დარიცხული ხელფასი 8104 ლ

სხვა ხარჯები

ანგარიშის 4 ალბომის და ციფრული ვერსიის მომზადე 400 ლ

ჯ ა მ ი 8504 ლ

ზედნადები ხარჯები 12% 1020 ლ

ჯ ა მ ი 9524 ლ

მოგება 5% 476 ლ

ს უ ლ ჯ ა მ ი 10 000 ლ.

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, აღებაბრალად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

☒ გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.





23. b. d. S.

დასავლეთის ფასადი

აღმოსავლეთის ფასადი

ხედი სამხრეთიდან

ჩრდილო- აღმოსავლეთის კოშკი

ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან

ხედი ეკლესიაზე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

საკურთხეველი

კიბეები ეკლესიის სამხ-დას-ით

ეკლესიის სამხრეთ- დასავლეთის ნაწილი

სათოფურები

სამხრეთ-დასავლეთის კოშკში

სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკი

სამხრეთ-დასავლეთის კოშკის

მესამე სართული

ბუხარი ჩრდილოეთის (მიშენებულ) კოშკში